საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილმრეწვმშენი-3“

„თბილმრეწვმშენი-3“ (სააქციო საზოგადოება), ერთ-ერთი მძლავრი სამშენებლო ორგანიზაცია საქართველოში. საქართვ. მშენებლობის სამინისტროს №3 სამშ.სამონტაჟო - ტრესტი „თბილმრეწვმშენი” დაარსდა 1960 თბილისში. 1996 მის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა „თ-3”. სააქციო საზ-ბა აშენებდა სამრეწვ., საბინაო და კულტ.-საზ. დანიშნულების ობიექტებს. აღჭურვილი იყო თანამედროვე მექანიზმებითა და სატრანსპ. საშუალებებით. მის შემადგენლობაში შედიოდა: 5 სამშ.-სამონტაჟო სამმართველო, მექანიზაციის უბანი, კომპლექტაციისა და მომარაგების სამმართველოს საწარმოო კომბინატი (ამზადებდა ბეტონის, რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციებს, სადურგლო ნაკეთობებს, სამშ. ბლოკებს), გაჯის საამქრო. „თ-3-მა” ააშენა 500-ზე მეტი ობიექტი, მ. შ.: ფიზ., გეოფიზ., მათ., კიბერნეტიკისა და თერაპიის სამეცნ.-კვლ. ინ-ტები, საიუველირო (ახლანდ. - „ზარაფხანა”), შამპანური ღვინოების (ახლანდ. “ბაგრატიონი 1882”), კონიაკის (ახლანდ. - „სარაჯიშვილი”), „თბილრძის” (ახლანდ. „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები”) ქ-ნები, აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფ-კა (დ. გურამიშვილის გამზ. 64), უნივერმაღები: „თბილისი”, „ბავშვთა სამყარო”, აგრეთვე ატომური რეაქტორი მცხეთაში, სატელევიზიო ანძა, ა. გრიბოედოვის სახ. რუსული დრამ. თეატრი, ცენტრ. ველოდრომი, მინისტრთა საბჭოს ავტობაზა (კრწანისში), „ცენტრალური სუპერმარკეტი” (ახლანდ. „დეზერტირების ბაზარი”), „საყოფაცხოვრებო სახლი” ავჭალის გზატკეცილზე, №4 სახლთმშენებელი კომბინატი დიღომში, „ბავშვთა სოფელი” შ. ნუცუბიძის IV პლატოზე, ექსპერ. საცხოვრ. სახლები ლ. უკრაინკას, ტ. შევჩენკოსა და ს. ჩიქოვანის ქუჩებზე და სხვ., სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩაატარა თბილ. მაუდკამვოლის კომბინატში (ახლანდ. „მაუდი”), „ცენტროლიტში”, საავიაციო და ჩარხმშენებელ ქ-ნებში, „დინამოს” ეროვნ. სტადიონზე. აღადგინა თსუ-ის II კორპუსი და კავშირგაბმ. სამინისტროს ადმ. შენობა. „თ-3-ის” აშენებულია მთელი საქარ-თველოს მასშტაბით ყველა მნიშვლოვანი ობიექტი.

2012-იდან სამშ. ორგანიზაცია აღარ ფუნქციონირებს.